

ჩარლზ დიკენსი • ორი ქალაქის ამბავი



ჩარლზ დიკენსი

ორი ქალაქის ამბავი

ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო
ლელა დუმბაძემ



სულაპურის
გამომცემლობა

შინაარსი

წიგნი პირველი. გავლრათით აღმგბარი	7
თავი I. ხანა	9
თავი II. დილიჟანსი	14
თავი III. ლამის ლანდები	22
თავი IV. თადარიგი	28
თავი V. ღვინის დუქანი	44
თავი VI. ხარაზი	58
წიგნი მეორე. მძროს ძაჟი	73
თავი I. ხუთი წლის შემდეგ.....	75
თავი II. სანახაობა	84
თავი III. იმედგაცრუება	93
თავი IV. მილოცვა	112
თავი V. ტურა	121
თავი VI. ათასი ჯურის ხალხი	129
თავი VII. მონსენიორი ქალაქად.....	145
თავი VIII. მონსენიორი სოფლად.....	158
თავი IX. გორგონას თავი	165
თავი X. ორი პირობა	180
თავი XI. სურათი ამფსონების ცხოვრებიდან	191
თავი XII. სიდარბაისლის განსახიერება	196
თავი XIII. კადნიერების განსახიერება.....	206
თავი XIV. პატიოსანი მოვაჭრე.....	213
თავი XV. მქსოველი.....	227

თავი XVI. ქსოვა გრძელდება	241
თავი XVII. ერთხელ, ღამით.....	255
თავი XVIII. ცხრა დღე	262
თავი XIX. ექიმის კონსულტაცია.....	271
თავი XX. გამოსარჩლება	281
თავი XXI. შორი ნაბიჯების ექო.....	287
თავი XXII. ზღვა ისევ ღელავს.....	302
თავი XXIII. ხანძარი ღვივდება	309
თავი XXIV. მაგნიტის ლოდით მიზიდული	319
 წიგნი მესამე. ქარიშხლის კვალდაკვალ	337
თავი I. საიდუმლოდ	339
თავი II. სალესი ქვა	354
თავი III. ჩრდილი	363
თავი IV. ქარიშხალი მიყუჩდა.....	369
თავი V. ტყისმჭრელი	377
თავი VI. გამარჯვების ზეიმი.....	385
თავი VII. კაკუნი კარზე	395
თავი VIII. ერთი ხელი ბანქო	402
თავი IX. თამაში შედგა.....	419
თავი X. აჩრდილი ხორცს ისხამს	436
თავი XI. ბინდი ჩამოწვა.....	454
თავი XII. უკუნეთი.....	459
თავი XIII. ორმოცდათორმეტი	470
თავი XIV. ქსოვა შეწყდა	485
თავი XV. ფეხის ხმა სამუდამოდ წყდება	501

წიგნი პირველი

მკვდრეთით აღმდგარი

თავი I

ხანა

იდგა საუცხოო ხანა, იდგა უმძიმესი ხანა, ჟამი სიბრძნის, ჟამი უგუნურების, დრო რწმენის, დრო ურწმუნობის, წამი ნათლის, წამი წყვდიადის, სასოების გაზაფხული, სასონარკვეთის ზამთარი, ყველაფერი ჩვენს ხელთ იყო, ყველანი ხელმოცარულები ვიყავით, ყველანი პირდაპირ სამოთხისკენ მივეშურებოდით, ყველანი პირდაპირ ქვესკნელისკენ მივექანებოდით – მოკლედ, ის დრო ისე ჰგავდა დღევანდელს, რომ ზოგიერთ მყვირალა ხელისუფალს აეხირებინა, ამ ეპოქის მოხსენიება, მისი სიკეთით თუ სიმახინჯით, მხოლოდ აღმატებით ხარისხშია დასაშვებო.

იმ დროს ინგლისის ტახტს მსხვილნიკაპიანი მეფე და შეუხედავი დედოფალი განაგებდნენ, საფრანგეთის ტახტს კი – მსხვილნიკაპიანი მეფე და პირმშვენიერი დედოფალი. და როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნის დიდგვაროვან ბატონ-პატრონებს, ვისაც თავიანთ სანახებში უხვად ეგულებოდათ პური ჩვენი არსობისა, თევზი და ღვინო, ცხადზე უცხადესად მიაჩნდათ, რომ ამ დამკვიდრებულ წესსა და ყოფას ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე არაფერი ემუქრებოდა.

იდგა იესო ქრისტეს შობიდან ათას შვიდას სამოცდამეთხუთმეტე წელი. იმ კურთხეულ ხანაში ინგლისელები ზუსტად ისევე აღიარებდნენ ღვთაებრივ გამოცხადებებს, როგორც დღეს. და მოხდა ისე, რომ სწორედ იმ წელს, როცა მისიზ საუთქოთს¹ ოცდახუთი წელი

¹ ჯონან საუთქოთი (1750-1814) – თვითმარქვია რელიგიური მისანი

შეუსრულდა, ერთმა ნათელხილვის ნიჭით დაჯილდოებულმა სამეფო ლაიბგვარდიელმა ფართო საზოგადოებას საზეიმოდ ამცნო მისი ზებუნებრივი ხილვის ამბავი, რომლის თანახმად, თურმე სულ მალე ლონდონსა და ვესტმინსტერს მინა ჩაყლაპავდა. ჯერ თორმეტიოდე წელიც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც კოკ-ლეინელმა აჩრდილმა¹ უკანასკნელად ამცნო საზოგადოებას კაკუნითა და ფხაჭუნით თავისი ნათელმხილველური წინასწარმეტყველებები, და სწორედ ამ დროს ზებუნებრივმა სულეებმა (ზებუნებრივად მოკლებულებმა ორიგინალურობას) კვლავ შეაშფოთეს ხალხი კაკუნით და ფხაჭუნით. მაგრამ მოხდა ფრიად უცნაური რამ: იმ დღეებში, ბრიტანეთის ქვეშევრდომებმა ამერიკის კონგრესიდან რაღაც შეტყობინებები გამოუგზავნეს ინგლისის მეფეს ამქვეყნიური მოვლენების თაობაზე, რაც, რავინდ უცნაურად გეჩვენოთ, გაცილებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კაცობრიობისთვის, ვიდრე ნებისმიერი მინიშნება, რაც კი ოდესმე გაუკეთებიათ კოკლეინში დაფრთიანებულ მოჩვენებებს.

საფრანგეთი, რომელიც ფართა და სამკაპა შუბით აღჭურვილ თავის დობილთან შედარებით, ზოგადად, უფრო ნაკლებად იყო განებივრებული ცრურწმენებით, მტკიცედ და ბრმად მიექანებოდა თავქვე, ბეჭდავდა და ფლანგავდა ქალაქის ფულს². თანაც ქრისტიანული მოძღვრების ლოცვა-კურთხევით ისეთი ჰუმანური მონაპოვრებით იქცეოდა თავს, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანებისთვის მკლავის მოკვეთის, მაშებით ენის ამოგლეჯის, კოცონზე ცოცხლად დანვის მისჯა მავანი ჭაბუკისთვის³ მხოლოდ იმიტომ, რომ თურმე მან მუხლი არ მოიყარა თავსხმა წვიმაში მიმავალი ბერების ტალახიანი პროცესიის წინაშე – სულ რაღაც ორმოცდაათი თუ სამოცი იარდის დაშო-

¹ კოკ-ლეინელი აჩრდილი – ქალის სული, რომელიც თითქოსდა კოკ-ლეინის ქუჩაზე გამოჩნდებოდა ხოლმე.

² მე-19 საუკუნეში, ამ რომანის წერის დროს, ინგლისში ბრუნავდა ოქროსა და ვერცხლის მონეტები, რომელთა რევერსზეც ამოტიფრული იყო ბრიტანეთის სიმბოლო – ქალღმერთი, ხელში სამკაპით (ზღვის ღმერთის, პოსეიდონის ასოციაციით) და ფართი. მის „დობილ“ საფრანგეთში კი ამ დროს დიდი რაოდენობით ბეჭდავდნენ იმ დროის სიახლეს, ქალაქის ფულს, რომელიც საკმარისი ოქროს მარავით არ იყო გამყარებული.

³ ამ მოვლენების აღწერისას დიკენსი ისტორიულ წყაროებს ეყრდნობა.

რებით რომ ჩაეველოთ მისგან. სავსებით შესაძლებელია, იმ დროს, როცა იმ უბედურს სიკვდილით სჯიდნენ, ტყისმჭრელს – ბედისწერას უკვე ნიშანი ჰქონოდა დასმული საფრანგეთის და ნორვეგიის ტყეებში ფესვგადგმულ ხეებზე, რათა მოეჭრათ და ფიცრებად დაეხერხათ ერთგვარი მოძრავი კონსტრუქციის შესაკრავად, რომელიც დიდი ბასრი დანის პირითა და ტომრით იყო აღჭურვილი¹ და საუკუნეების განმავლობაში შიშის ზარს სცემდა კაცობრიობას. სავსებით შესაძლებელია, პარიზის მახლობლად, სწორედ ზემოხსენებული საძაგელი უამინდობისგან დასაცავად, რომელიმე გლეხის კარმიდამოზე, მოფარებულ ადგილას გადაემაღათ სოფლის ლაფში ამოთხვრილი გაურანდავი საზიდრები, სუნსულით რომ გარს უვლიდნენ ღორები, შინაურ ფრინველებს კი ქანდარად ექციათ; საზიდრები, რომლებიც გლეხკაცს – სიკვდილს მალე საფრანგეთის რევოლუციის სიკვდილმისჯილთა დანიშნულების ადგილზე გადასაყვან ფორნებად მოემსახურებოდა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ტყისმჭრელი და გლეხკაცი წამით არ წვეტდნენ შრომას, მათი შრომა უჩინარიც იყო და უჩუმარიც, ასე რომ, ჩქამსაც ვერავინ გაიგონებდა, რადგან ფეხაკრეფით დაიარებოდნენ: ფრთხილობდნენ, ვინმემ არ იეჭვოს, რომ ვფხიზლობთო, რადგან სიფხიზლე იმ დროს ათეისტობად და მოლალატეობად იყო შერაცხული.

ინგლისი ამ დროს დიდად ვერაფრით დაიკვებნიდა წესრიგის თუ მოქალაქეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით. სახლებს, თავად დედაქალაქშიც კი, ყოველდღე ქურდავდნენ, მშვიდობიან მგზავრებს კი თავზეხელაღებული შეიარაღებული ყაჩაღები ძარცვავდნენ; ხელისუფლება ოჯახებს საჯაროდ აფრთხილებდა – ქალაქიდან ისე ნუ გახვალთ, სახლის ავეჯი სანყოფნებში რომ არ გადაინახოთ უსაფრთხოებისთვისო; ზოგი ლამის წყვდიადში ყაჩაღობდა, დღის სინათლეზე კი პატიოსან ვაჭრად მოჰქონდა თავი; და ერთხელაც ერთმა ვაჭარმა ლამით მგზავრობისას მასზე თავდამსხმელთა „ბანდის მეთაურში“ თავისი მეწყვილე შეიცნო და უნებლიეთ აღშფოთება გამოთქვა, ყაჩაღმა კი არც აცია, არც აცხელა, თავში ტყვია დაახალა და ცხენი არხეინად

¹ იგულისხმება გილიოტინი.

გააჩენა. ერთხელ საფოსტო ეტლს შვიდი მძარცველი ჩაუსაფრდა შარაზე, მცველმა მათგან სამი ტყვიით მოკლა, დარჩენილმა ოთხმა კი ის განგმირა, რადგან მცველს თურმე „ტყვია-წამალი დააკლდა“. ამის შემდეგ ეტლი, ცხადია, დაუბრკოლებლად გაძარცვეს. თავად ჩვენი დიდებული მბრძანებელი, ლონდონის ლორდ-მერიც კი აიძულეს, ერთხელ ფეხზე წამომდგარიყო და მთელი თავისი ავლადიდება საკუთარი ხელით გადაეცა ყაჩაღისთვის, რომელმაც ის მთელი მისი კორტეჟის თვალწინ გაძარცვა; ლონდონის საპყრობილეების ტუსაღები ხელჩართულ ბრძოლას უმართავდნენ ციხის ზედამხედველებს, ხოლო კანონის უზენაესი მცველები მუშეკეტებით ხოცავდნენ ტუსაღებს; დიდგვაროვან ლორდებს სამეფო სასამართლოს დარბაზებში მძარცველები აღმასისთვლიან ჯვრებს მაკრატლით აჭრიდნენ კისრიდან; სენტ ჯაილზში მუშეკეტებით შეიარაღებული პირები შეიჭრნენ კონტრაბანდული საქონლის გასატაცებლად და იქ თავშეყრილმა ბრბომ ცეცხლი გაუხსნა მუშეკეტერებს, მუშეკეტერებმა კი საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს ბრბოს, და ასეთი ამბები გაცვეთილ ყოველდღიურობად იქცა. ხოლო ამ ყოველივეში მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა დაკისრებული ჯალათს, დღემუდამ დაკავებულს საქმით, რომელიც თავზე საყრელად ჰქონდა, თუმცა არანაირი სიკეთე არ მოჰქონდა: ხან სისხლის სამართლის დამნაშავეები წყებად უნდა ჩამოეკიდა თოკზე; ხან სამშაბათს დაპატიმრებული სახლის მძარცველი შაბათს უნდა ჩამოეხრჩო; ხან დაღი უნდა ამოენვა მკლავზე ნიუგეითის ციხეში დაპატიმრებული ათობით ადამიანისთვის, ხანაც საჯაროდ უნდა დაენვა პამფლეტები კოცონზე ვესტმინსტერ ჰოლის წინ; ერთ დღეს თუ საზარელი მკვლელობისთვის უნდა მოესწრაფა სიცოცხლე, მეორე დღეს – წვრილმანი ქურდობისთვის, მაგალითად, გაძვალტყავებული გლეხი ბიჭისთვის, რომელსაც ექვსპენიანი აენაპნა ვილაციისთვის.

აი, ასეთი, და ათასობით მსგავსი მოვლენით იყო აღბეჭდილი ყოველად უტკბესი ათას შვიდას სამოცდამეთხუთმეტე წლის დადგომა. და ასეთ ვითარებაში, როცა ტყისმჭრელი და გლეხკაცი უჩუმრად იღვწოდნენ, ორი მსხვილნიკაპიანი მამაკაცი და მათი ორი თანამეცხედრე – ერთი შეუხედავი და მეორე კი პირმშვენიერი მანდილოსანი – არათუ აინუნში არ აგდებდნენ ამდენ უბედურებას, არამედ

მსახვრალი ხელით კადნიერად განამტკიცებდნენ ღვთივ მირონცხე-
ბულთა ძალაუფლებას ამ ცისქვეშეთში. და სწორედ ასე წარმართავდა
ათას შვიდას სამოცდათხუთმეტი წელი მათი უდიდებულესობებისა
და საბრალო რიგითი ადამიანების – მათ შორის, ამ მატიანეში აღსა-
წერთა – ბედს მათ წინაშე გადაშლილ გზებზე.

თავი II

დილიჟანსი

გვიანი ნოემბრის ერთ პარასკევ საღამოს გზას ერთი მგზავრი მიუყვებოდა. ის პირველია იმათგან, ვისი ამბის თხრობასაც ახლა ვიწყებ. ჩვენი გმირი ვერ ხედავდა ღუვრის შარაგზას, რადგან ფეხით მავალს ვეება დილიჟანსი უფარავდა ხედს, რის ვაივაგლახით რომ მიჩაქჩაქებდა შუთერ ჰილის აღმართზე. ჩვენი გმირი, დილიჟანსის სხვა მგზავრებივით, დილიჟანსის გვერდით მიაბიჯებდა ტალახიან აღმართზე; ოღონდ არ გეგონოთ, რომ მუხლის გასაშლელად ჩამოქვეითდნენ, არა; ამის მიზეზი გახლდათ აღმართი, ცხენის აღკაზმულობა, ბლანტი ტალახი, მძიმე ბარგით დატვირთული საფოსტო დილიჟანსი, რომელიც ამ ვითარებაში ისე დამძიმდა, რომ ცხენები ურჩობდნენ და უკვე სამჯერ მოასწრეს გზაზე შეჩერება, ერთხელ კი დილიჟანსის უკან შეტრიალება და ბლექჰისში მიბრუნებაც კი სცადეს¹. დაჭიმული აღვირები და მათრახები, მეეტლე და ბადრაგი კი ერთადერთ მიზანს ემსახურებოდნენ – დაეცვათ სამხედრო წესდება, რომელიც ამბოხების ნებისმიერ გამოვლინებას კრძალავს, რაც უტყუარად მეტყველებდა იმაზე, რომ იზიარებდნენ მოსაზრებას, თითქოს ზოგი პირუტყვი აზროვნების უნარითაა დაჯილდოებული; და ცხენებმაც

¹ ბლექჰისში მიბრუნებაც კი სცადეს – ცხენებმა აჯანყება დააპირეს. დიკენსი აქ ხუმრობს: ბლექჰისი უბანია ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთით. იგი ინგლისის ისტორიაში ცნობილია, როგორც რამდენიმე სამხედრო ამბოხების ადგილი ინგლისის მეფეების წინააღმდეგ.

აღიარეს მარცხი და მორჩილად მიუბრუნდნენ მოვალეობის შესრულებას.

თავჩაქინდრულები, ძუის ქნევით მიჩაქჩაქებდნენ აზელილ ტალახში, ლაფში ეფლობოდნენ, ფეხები უსხლტებოდათ და გეგონებოდათ, სადაცაა, ილაჯგანყვეტილები წელში გადატყდებიანო. როცა მეეტლე ხანგამოშვებით შეასვენებდა ხოლმე და შეყოვნების მერე ფრთხილად შეუძახებდა, აჩუ! აჩუ! ტფრუ, ტფრუ, დაიძარიტო, მენინავე ცხენი ისე შთამბეჭდავად გადაიქნევდა ხოლმე თავს, რომ მთელი ფაფარი და აღკაზმულობა ერთბაშად აუფრიალდებოდა და შეიძლება ისიც კი ეფიქრა კაცს, ეტყობა, ეს ცხენი განსაკუთრებული მგრძნობელობით გამოირჩევა და ამით მეეტლეს ანიშნებს, ამ აღმართზე ამ ეტლის ათრევა ყოვლად შეუძლებელიაო. როგორც კი მენინავე ცხენი ასე აიფოფრებოდა, მგზავრები კრთებოდნენ, როგორც ნერვიულ მგზავრებს სჩვევიათ და ამკარა შემფოთება ემჩნეოდათ.

ნისლი ორთქლივით ავსებდა ყოველ კუნჭულს და უიმედოდ ადიოდა აღმა, ავი სულივით, შვებას რომ ეძებს და ვერ პოულობს. ეს ნისლი – ნებოვანი და სუსხიანი, ნელ-ნელა მიიკვლევდა გზას ჰაერში ჭავლებად, რომლებიც ერთმანეთს მისდევდნენ და ერთმანეთში ირეოდნენ, მღვრიე ზღვის ტალღებს რომ სჩვევია, ისე. ნისლი ისეთი ხშირი იყო, რომ ხილული არე მხოლოდ ეტლის განათებით და მის ირგვლივ ორიოდე იარდით შემოიფარგლებოდა; და დაზაფრულ ცხენებსაც ოხშივარი ასდიოდათ და ისე ავსებდა ნოტიო ჰაერს, თითქოს თავად ნისლიც ცხენებს დაეყენებინათ.

ჩვენს გმირთან ერთად საფოსტო ეტლს კიდევ ორი მგზავრი მიუყვებოდა აღმართს ლასლასით. სამივენი ისე საფუძვლიანად იყვნენ ჩაფუთნილები, რომ სახე და ყურები არ მოუჩანდათ. სამივეს მაღალყელიანი სამხედრო ჩექმები ეცვა. ასე რომ, ვერც ერთი მათგანი ვერ იტყოდა, როგორ გამოიყურებოდა დანარჩენი ორი; და ყოველი მათგანი ემალებოდა დანარჩენი ორის, როგორც გონების შინაგან, ისე სხეულის გარეგან თვალს. იმხანად მგზავრები ძალიან უფრთხოდნენ ახალგაცნობილ ადამიანებთან გულღია საუბარს, რადგან ნებისმიერი მათგანი შეიძლება ყაჩაღი, ან ყაჩაღებთან პირშეკრული აღმოჩენილიყო. ასეთი კი, რაკი ყოველ საფოსტო სადგურსა თუ ლუდხანაში

ყაჩაღების თავკაცებს თავიანთი ხალხი ედგა სამსახურში, შეიძლება თავად მეპატრონე ან რომელიმე რიგითი მეჯინიბე გამომდგარიყო; ამას ვერავინ იტყოდა, ასე რომ, ყველაზე შეიძლებოდა ეჭვის მიტანა. სწორედ ამგვარ ფიქრებს მოეცვა დუვრის საფოსტო ეტლის მცველი ათას შვიდას სამოცდათხუთმეტი წლის ნოემბრის იმ პარასკევ ღამეს, როცა შუთერ ჰილის აღმართზე შემდგარი, ტვირთით დამძიმებული ეტლის უკანა კოფოზე იჯდა, მისთვის განკუთვნილ ადგილზე. თვალი და ხელი იარაღით დატვირთულ ყუთზე ედო, რომელშიც დატენილი მუშკეტები ეგულებოდა კავალერისტის ექვს თუ რვა ასევე დატენილ პისტოლეტზე შემოწყობილი, რომლებსაც ძირს დაშვების კარგა გვარიანი ფენა უმაგრებდა.

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ დუვრის ამ საფოსტო ეტლში იმ დროისთვის სავსებით ბუნებრივი და კეთილგანწყობილი ატმოსფერო სუფევდა: მცველი ეჭვის თვალით უყურებდა მგზავრებს, მგზავრები ეჭვით უცქერდნენ ერთმანეთს და მცველს, და ყველანი ეჭვით უცქერდნენ ყველას, მეეტლე კი მხოლოდ თავის ცხენებს ენდობოდა; და ერთადერთი, რაზეც თავს დადებდა, ის იყო, რომ ეს ცხენები სრულიად შეუფერებლები იყვნენ ამ მგზავრობისთვის.

– აჩუ, აჩუ-მეთქი! – შეუძახა მეეტლემ, – ჰე, რალა! ცოტაც და კენწეროშიც ავალთ, და მერე, თუ გინდა, კისერიც გიტეხიათ, ისე გამაძრეთ სიქა! –ჯო!

– აქ ვარ, რა იყო? – მიუგო მცველმა.

– რას ფიქრობ, რომელი საათი იქნება, ჰა?

– ალბათ ასე, თორმეტის ათი წუთი.

– აუ! ჯანდაბა! – შეშფოთებით წამოიძახა მეეტლემ, – ჩვენ კიდევ ჯერ შუთერის აღმართიც არ აგვივლია! ტფუ! აჩუ, აჩუ, ჰე, გამოადგით ფეხი!

მგრძნობიარე ცხენმა, რომელსაც მათრახის დარტყმამ გააწყვეტინა გამალეებული თავის ქნევა უარის ნიშნად, მტკიცედ გადაწყვიტა, როგორმე აფოფხებულიყო და დანარჩენი სამი ცხენიც აიყოლია. კიდევ ერთხელ დაიძრა ადგილიდან დუვრის დილიჟანსი, და მისმა მაღალყელიან ჩექმებში გამოწყობილმა მგზავრებმაც გატოპეს ტალახი ეტლის გვერდით. როცა ეტლი ჩერდებოდა, ისინიც ჩერდებოდნენ,

ცდილობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ. მაგრამ ამ სამთაგან ნებისმიერს თავხედობა რომ ჰყოფნოდა და რომელიმე თანამგზავრისთვის მოეწოდებინა, ოდნავ წინ წადი ნისლსა და წყვილიადშიო, ტყვია ნალდად არ ასცდებოდა, როგორც შარაგზის ავაზაკს.

როგორც იქნა, ცხენები ადგილს მოსწყდნენ და ეტლი აღმართის ბოლოში ავიდა. იქ ისევ შედგნენ სულის მოსაბრუნებლად და მცველი ბორბალზე მუხრუჭის ხუნდის დასადებად ჩამოქვეითდა, სანამ დაღმართზე ჩავიდოდნენ, თან ეტლის კარი უნდა გაეღო მგზავრებისთვის.

– ჩუ! ჯო! – გაფრთხილებასავით გამოსძახა მეეტლემ და კოფოდან ქვემოთ გაიხედა.

– რაო, რა თქვი, ტომ?

ორივემ მიაყურადა.

– რა და, ვილაცა ნელა მოაჭენებს ცხენს აღმართზე, ჯო.

– მე კი გეტყვი, რომ მთელი სისწრაფით მოაგელვებს ცხენს, ტომ, – შეეხმინა მცველი, ეტლის კარის საკეტს ხელი უშვა და სხარტად აძვრა თავის ადგილზე.

– ბატონებო! მეფის სახელით, ყველანი აქეთ!

ნაჩქარევად შეევედრა მცველი მგზავრებს, ეტლის უკანა კოფოზე შესკუბდა და თავდასხმისთვის მოემზადა.

მგზავრი, რომლის ამბავსაც ეს წიგნი მოგიტხრობთ, ეტლის კიბეზე იყო შემდგარი და შიგ შესვლას აპირებდა; დანარჩენი ორი ფეხდაფეხ მისდევდა. ჩვენი გმირი კიბეზე შედგა და შესასვლელად გაემზადა. ნახევარი ტანით უკვე ეტლში იყო შესული, როცა შედგა; დანარჩენები გზაზე დარჩნენ, ოდნავ ქვემოთ. ყველამ ჯერ მეეტლეს შეხედა, მერე მცველს, მერე ისევ მცველს და ისევ მეეტლეს, და ყველამ დაძაბა ყურთასმენა. მეეტლემ უკან მიიხედა, მცველმაც უკან მიიხედა და თავად მენინავე მგრძნობიარე ცხენმაც კი ყურები ცქვიტა და უკან მიიხედა, ისე, რომ თავი არ გაუქნევია.

ეტლის რახრახის და ვაივაგლახის შემდეგ ჩამონოლილ სირუმეს, ღამის სირუმესთან შერწყმულს, საოცარი გარინდულობა მოჰყვა. ცხენების ქშენა თრთოლად გადაეცემოდა დილიჟანსს, გეგონებოდათ, ისიც ღელავსო. მგზავრებს კი ისე ხმამაღლა უცემდათ გულები, შეიძლება გაგეგონათ კიდეც; მაგრამ ეს სირუმე აირეკლავდა სულგანა-

ბული ადამიანების მდგომარეობას, რომელთაც სუნთქვა უჭირდათ, ახლა კი მოლოდინით გათანგულებს სუნთქვა შეეკრათ და გამალებით უძგერდათ გულები.

გაჭენებული ცხენის ფლოქვების თქარათქური სულ უფრო სწრაფად და მძვინვარედ უახლოვდებოდა გორაკის წვერს.

– ე-ჰეი, შენ, მანდ! – დაიღრიალა მცველმა მთელი ხმით, – ეჰეი, ვინც უნდა იყო მანდ! სდექ! თორემ გესვრი!

ნაბიჯების ხმა წამში შეწყდა და საკმაოდ წყვეტილი, ბორძიკით წამოსროლილი სიტყვები მოისმა ნისლში:

– ეს დუვრის დილიჟანსია?

– რა შენი საქმეა, რა არი! – მკვახედ შეუძახა მცველმა, – შენ თვითონ ვინა ხარ?

– დუვრის საფოსტო ეტლია-მეთქი?

– რატომ გაინტერესებს?

– ერთ მგზავრს ვეძებ, თუ დუვრის ეტლია.

– ვინ მგზავრს?

– მისტერ ჯარვის ლორის.

ჩვენმა გმირმა უმაღლესად გაამხილა თავისი სახელი და გვარი – ჯარვის ლორი. მცველმა, მეეტლემ და დანარჩენმა ორმა მგზავრმა მაშინვე ეჭვის თვალით შეხედეს.

– ადგილიდან არ დაიძრა, – დაუღრიალა მცველმა ნისლში შეფარულ მომხდურს, – იმიტო რო, ხელი რო წამცდეს, თავს წააგებ. პირდაპირ გაეცით პასუხი, ჯენტლმენო ლორი!

– რა მოხდა? – იკითხა ჩვენმა მგზავრმა, ხმა ოდნავ აუკანკალდა. – ვინ მკითხულობს? ჯერი ხარ?

(„სულ არ მომწონს ამ ჯერის ხმა, თუ მართლა ჯერია, – თავისთვის ჩაიბურღლუნა მცველმა, – ამ ჯერის ხრინწიანი ხმა რაღაც სულ არ მეპიტნავება ახლა“.)

– დიახ, მისტერ ლორი.

– რა მოხდა?

– დეპეშა გამოგიგზავნეს ქვემოდან. „ტელსონ ენდ კომპანიდან“.

– მე ვიცნობ ამ შიკრიკს, მცველო, – თქვა მისტერ ლორიმ და ეტლის კიბიდან გზაზე ჩამოვიდა. დანარჩენი ორი მგზავრი მეტისმეტი